ოქმი:**ო02.37221441**
თარიღი:**24/05/2022**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. მახარაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, ალ. ბურჭულაძე, ნ. ქარჩავა, თ. ტუღუში, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შესახებ.
მომხსენებელი : ბექა თოიძე
თანამომხსენებელი : ზვიად ჭანუყვაძე

2. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.
მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობაში არსებული მდგომარეობის თაობაზე, ვრცლად ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა-ზ. ჭანუყვაძემ. აღინიშნა, რომ სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 114 სასაფლაო, აქედან 7-ქალაქად, პრობლემურია სოფლის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ხელისშემწყობი ფაქტორი გახდა სასაფლაოების მომვლელებად სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეების დასაქმება, მაგრამ საჭიროა მათთვის შესაბამისი ინვენტარისა და საწვავ-საცხები მასალების შეძენა. მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ისიც, რომ სასაფლაოების ერთი ნაწილი არაა დარეგისტრირებული. საერთოდ წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა გაუმჯობესებულია. კომისიის წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები, იმსჯელეს და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის გოგორეთის დასახლების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომელშიც ითხოვენ მინი

სტადიონის მოწყობას და მისი განათების დამონტაჟებას.

გადაწყვიტეს:

1. ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

3. კომისიაში შემოსული წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(ა. თალაკვაძე).

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი